(სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია)

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №60

ქ. წალენჯიხა 22 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ გიორგი ლუკავას სახით და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე „თენგიზი ცანავა" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის თენგიზი ცანავას სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 09 აგვისტოს №2 1/475 ბრძანებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2016 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში გადაუღებელ წვიმების და ღვარცოფის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხებ შესაბამისად სამუშაოების შესყიდვა.

1.2. (CPV კოდი 45200000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები) წინამდებარ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალება გამარტივებული შესყიდვა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №2386 (18.08.2016 წ. განკარგულება.

2 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

2.1. შესყიდვის ობიექტია: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის ივლისი-აგვისტოს თვეშ გადაუღებელი წვიმების და მოვარდნილი ღვარცოფის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენ სამუშაოები;

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ობუჯის, ნაკიფუს, მიქავას ჯგალის, მედანის და საჩინოს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანებული შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

ა) არსებული გზების უსწორმასწორო უბნებზე გრუნტის მოჭრა გრეიდერით, გადაადგილება 30 მეტრზ და მოსწორება ზედაპირის პროფილირებით – 450 მ/კუბ.

ბ) არსებული ვაკისის მოშანდაკება მექანიზირებული წესით მთელ გზაზე – 43389 მ/კვ.

გ) ნამგალისებური პროფილის საფარის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით – 4740 მ/კვ

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

3.2. **შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 25807 (ოცდახუთიათასრვაასშვიდი) ლარი და 5 თეთრი.**

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტების ხარისხი უპასუხებს ამ სფეროშ არსებულ თანამედროვე სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები,ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 5 სექტემბრამდე,

5.1.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან ელ ზედნადები).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდებ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილ წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. ანგარიშწორება განხორციელდება სამუშაოების დასრულების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტებ (შესრულებული სამუშაოების აქტი ფორმა №2 და ფორმა №3, ექსპერტიზის აქტი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობებზე, ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების დადასტურებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მე-3 მუხლის ა) ქვეპუნქტ შესაბამისად), ინსპექტირების ჯგუფის აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის და ელ. საგადასახად ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები) წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

7.3. ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2016 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
-გადაუხდელობის შემთხვევაში მოსთხოვოს ანაზღაურება ყველა საჯარიმო სანქციით გამოწვეული ზარალისა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების მე-5 მუხლში გათვალისწინებულ ვადებში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02 % ის ოდენობით (აღნიშნული თანხა დაუკავდება მიმწოდებელს საბოლოო ანგარიშსწორების დროს).

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 17 ოქტომბრამდე

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე იმ შემთხვევებში, რომლებიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლში.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის, მიმდინარეობის და ვადების ინსპექტირება, ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი

15. *სხვა პირობები*

15.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ს. კოდი 242739248 მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას ქ. №5. II სართული ხაზინის ერთიანი ანგარიში სახაზინო კოდი 300343959 ტელ: 599 87 66 88	ინდ. მეწარმე „თენგიზი ცანავა“ ს/კოდი 51001015700 მისამართი: წალენჯიხა. ქიაჩელის ქ. №21 ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ წალენჯიხის ფილიალი ბ. კოდი LBRTGE22 ა/ა GE47LB0112115359429000 ტელ: 551 58 68 62
..... გიორგი ლუკავა	..... თენგიზი ცანავა